ჩოხატაურისმუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს „ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მუნიციპალიტეტის გამგეობაში განსაზღვრულია 13 თანამდებობის პირი, უნდა მოხდეს ამ გარემოების ასახვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში.

პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის 11 იანვრის N3 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის N70 დადგენილება- ,,საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების დამატება, რომელიც მიზნად ისახავს იმ გარემოებას, რომ მისი შექმნით განხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებს შორის. შესაბამისად, ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის პრობლემები უფრო გასაგები და მკაფიო იქნება თვითმმართველობისათვის.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

დადგენილების პროექტის ავტორია გამგეობის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი ნინო ვაჩეიშვილი. საკრებულოს სხდომაზე კი პროექტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თეა უჯმაჯურიძე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”-დადგენილების თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”- დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამგებლის უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოსათვის გამგეობის დებულებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების წარდგენა.

ზემოაღნიშნული ცვლილების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადეგნილება.

აღნიშნული დადგენილების მიღება იწვევს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 იანვრის N3 დადგენილებისა და ,,საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის N70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

იურიდიული სამსახურის უფროსის

დროებით მოვალეობის შემსრულებელი: *თეა უჯმაჯურიძე*